

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№217754) საველე-გეოლოგიური სამუშაოები

ა.წ. 23-25 სექტემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები და სტუდენტები (სამი პედაგოგის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 5 სტუდენტის შემადგენლობით), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის, „ყაზბეგი-ომალოს რეგიონის ფიქლის გაზის პერსპექტიული ლოკალური უბნების დეტალური შესწავლა,“ საველე-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად შავი არაგვის (გუდამაყრის) ხეობაში იმყოფებოდნენ.



ექსპედიციაში გავემგზავრეთ ჩვენი უცვლელი Toyota Land Cruiser-ით.



ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო შავი არაგვის (გუდამაყრის) ხეობაში ქვედა და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების გამოსავლების გაშიშვლებების დაკვირვების წერტილების აღწერა, ქანების წოლის ელემენტების განსაზღვრა და ნიმუშების აღება შემდგომი ლაბორატორიული კვლევებისათვის. მარშრუტები ჩატარდა როგორც მდ. შავი არაგვის (ბაკურხევის) სათავეში, ასევე გუდამაყრის უღელტეხილზე და ქვენამთისწყლის (სნოსწყალის მარცხენა შენაკადი) ხეობაში.



თითოეულ მარშრუტებზე განხორციელდა მახასიათებელი ნიმუშების აღება, დაფიქსირდა დაკვირვების წერტილების GPS კოორდინატები, განისაზღვრა წოლის ელემენტები და განხორციელდა გამიშვლებების ფოტოგრაფირება.



თბილისიდან სოფ. ბურსაჭირამდე ექსპედიციამ გაიარა საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სამივე სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეული: თბილისიდან მცხეთამდე - მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა; მცხეთიდან ჟინვალამდე - ამიერკავკასიის მთათაშუა არე და ჟინვალიდან ბოლომდე-გუდამაყრის ხეობის ჩათვლით - კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონა. სწორედ კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონის ნალექებში განხორციელდა გრანტის ამოცანებით განსაზღვრული საველე-გეოლოგიური სამუშაოები.

გავგიმართლა და გუდამაყრის უღელტეხილზე ამჟამად მიმდინარეობს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მონტაჟი, რისთვისაც ახალი გზა არის გაყვანილი სოფელ ბურსაჭირიდან გუდამაყრის (ბურსაჭირის) უღელტეხილზე, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ჭაუხისა და სადუციას მთებს შორის მდინარეების გუდამაყრისა (შავი არაგვისა) და სნოსწყლის (თერგის შენაკადი) წყალგამყოფიდან ქვენამთასწყალის (სნოსწყალის მარცხენა შენაკადი) ხეობაში გადამავალი, სწორედ ამ მიდამოებში სნოს ხეობით ყაზბეგიდან (სნო-კარკუჩა, ბურსაჭირის უღელტეხილი-ფასანაური-დუშეთი-მცხეთა-თბილისი) გადიოდა საქართველოს ძველი სამხედრო გზა.



ჩვენი გეგმები სასიკეთოდ შეიცვალა და საველე-გეოლოგიური მარშრუტები ნაცვლად მარტო გუდამაყრის ხეობისა გადაწყვიტეთ, გადავსულიყავით გუდამაყრის (ბურსაჭირის) უღელტეხილზე და ქვენამთასწყალის ხეობაშიც ჩავგეტარებინა საველე-გეოლოგიური სამუშაო.



მარშრუტებზე ექპედიციის ხელმძღვანელები სტუდენტებს აცნობდნენ რეგიონის ტექტონიკურ დარაიონებასა და გეოლოგიურ აგებულებას.




გუდამაყრის უღელტეხილით გადავედით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ქვენამთასწყალის (სნოსწყალის მარცხენა შენაკადი) ხეობაში.

მაგისტრანტები და დოქტორანტები საველე სამუშაოებისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგებს გამოიყენებენ სტუდენტური კონფერენციებზე მოსახსენებლად და სამაგისტრო ნაშრომების შესასრულებლად.

ხეობის ნალექების 80% შავი ფერის თხელშრეებრივი, მიერ დაფიქლებული თიხაფიქლებით წარმოდგენილი, სადაც მცირე რაოდენობით გვხვდება კვარციტების თხელშრეებრივი გაკვარცებული ქვიშაქვების შუაშრეები და გაკვარცებული თიხაფიქლები.



თიხაფიქლებში ფიქლებრიობის თანხვედრილად ან გამკვეთი სხეულების სახით გვხვდება ალპური ტიპის კვარცის მარღვრები.



სტუდენტები ზოგიერთ დაკვირვების წერტილზე დიდხანს ჩერდებოდნენ, წოლის ელემენტებისა და GPS კოორდინატების განსაზღვრასთან ერთად ეძებდნენ მთის ბროლის კრისტალებს, რასაც ხშირად პოულობდნენ კიდეც.



მაგისტრანტი რუსუდან მეტრეველს ძლიერ გაუმართლა და კვარცის მრავალი კრისტალი მოიძია.

მაგისტრანტი რუსუდან მეტრეველს ძლიერ გაუმართლა და კვარცის მრავალი კრისტალი მოიძია.



ზოგიერთ დაკვირვების წერტილს სტუდენტები დამოუკიდებლად აღწერდნენ და იღებდნენ ნიმუშებს.



ბურსაჭირის სათავეებიდან ჩანს ჭაუხების ანდეზიტური შრეებრივი კლდის კალთები.



შავი (გუდამაყრის) არაგვისა და ქვენამთისწყალის ხეობებში მრავლადაა ანდეზიტების ლოდები, ზოგჯერ საკმაოდ დიდი ზომისაა, რომელზეც ძირითადად ჭაუხის მასივიდან ჩამოიტანა პლეისტოცენურმა მყინვარმა.

ექსპედიციაში იმყოფებოდა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გეოლოგიის პროგრამაზე წელს ჩარიცხული სტუდენტი ბაჩი ბლუაშვილი, რომელიც კარვებში ღამისთევას ეზიარა და ვახშამიც მოამზადა.





პრაქტიკამ კიდევ უფრო ახლოს გააცნო და დაახლოვა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები. მათ კიდევ ერთხელ ნახეს და შეისწავლეს გეოლოგიური საველე სამუშაოების უნარები. სტუდენტები იმედოვნებენ, რომ ამ გზით მიღებული პრაქტიკული ცოდნა დაეხმარებათ პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში.

უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ ნიმუშების კვლევის კამერალური და ლაბორატორიული სამუშაოებში.